ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4116328

ნომერი: AR1621179

თარიღი : 05.08.2018

გაცემის თარიღი : 13.08.2018

გაცნობის თარიღი : 13.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , ნაკვეთი 03/043;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ გოგოლაძე პ/ნ 01027015409
- თბილისი, წულუკიძის 11, ბინა 36

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ავტოფარეხის ფართის ფუნქციის ცვლილების გარეშე არსებული ავტოფარეხში შესასვლელი ღიობების ვიტრაჟული კარებით ცვლილებას. .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ , ვინაიდან კორპუსი ახლად აშენებული შენობაა და დაგეგმილი სახით რეკონსტრუქცია არ ხდება ერთიანი იერსახის მოწესრიგების ,აღდგენის მიზნით , ასევე ავტოფარეხისათვის მოსაწყობი კარის ღიობის ზომა, ფორმა და მასალა დგიბდება შესაბამისი ნორმით და სტანდარტით, მიუხედავად იმისა, თქვენს მიერ მოთხოვნის ტექსტში ასახულია, რომ რეკონსტრუქცია ხორციელდება ფუნქციის ცვლილების გარეშე, სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი იერსახით არც ავტოფარეხის ფუნქციის უცვლელად და მითუმეტეს არც მისი ცვლილებით (ცვლილების შემთხვევაში შემცირდება პროექტით დადგენილი ავტოფარეხების რაოდენობის განთავსების შესაძლებლობა) არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის განკუთვნილ ავტოფარეხის შესასვლელი კარის ვიტრაჟული კარით ცვლილების განხორციელება. სამსახური ვერ დაუშვებს პრეცედენტს თქვენი კონკრეტული შემთხვევისათვის გასცეს რეკონსტრუქციის ნებართვა და თვლის, რომ მსგავსი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც უარყოფითად აისახება სამომავლოდ მსგავსი სახის შენობების იერსახეზე .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.